5343/3-125/21 2 03062021

5343/3-125/21
03-06-2021

**სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს, ბატონ ნიკა ცხვარაშვილს**

ბატონო ნიკა,

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, 2020 წლის 5 მარტს თქვენს მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში შემოღებულ იქნა განსაკუთრებული პირობები, რომელიც გრძელდება პერიოდულად და მოქმედებს დღემდე.

ამ განსაკუთრებული პირობების საფუძველზე შეჩერებულია საოჯახო და ხანგრძლივი პაემნებით სარგებლობის უფლება, ასევე პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული სხვა უფლებები.

პატიმრობის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღებას ახდენს სამსახურის გენერალური დირექტორი მინისტრთან წერილობითი შეთანხმებით, არაუმეტეს 15 დღის ვადით. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული ვადა მინისტრის თანხმობით შესაძლებელია გაგრძელდეს გონივრული ვადით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების აღმოფხვრამდე.

თუმცა, ეს „გონივრული ვადა“, როგორც ჩვენთვის ცნობილია, წელიწადზე მეტია გრძელდება და დასასრული არ უჩანს.

ჩვენ გვესმის, რომ კორონა ვირუსი ერთ დღეში არ გაქრება და მიგვაჩნია, რომ პენიტენციალური სისტემა ამდენი ხნის განმავლობაში ვალდებულია იპოვოს ისეთი გამოსავალი, რომელიც დაასრულებს ისედაც თავისუფლება შეზღუდულ ადამიანთა უფლებების დამატებით შეზღუდვას.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148- მუხლის საფუძველზე, გთხოვთ წარმოადგინოთ წერილობითი პასუხი შემდეგ კითხვებზე:

ა) როგორ განსაზღვრავთ კანონში მითითებულ „გონივრულ ვადას“  რა ვადითაც შეიძლება გაგრძელდეს პატიმართა უფლებების შეზღუდვა?

ბ) აპირებთ თუ არა პატიმართა უფლებების შეზღუდვას იმ გარემოების აღმოფხვრამდე (პანდემიის დასრულებამდე), რის გამოც აღნიშნული პირობები იქნა შემოღებული? თუ კი, როგორ აპირებთ პანდემიის დასრულების ფაქტის დადგენას?

გ) თუ კოვიდ 19 ის პანდემია არ დასრულდა ან/და გავრცელდა სხვა სახის ვირუსი, რომლის გავრცელების ხანგრძლივობის განსაზღვრა შეუძლებელი იქნება, აპირებთ თუ არა პატიმართა უფლებების შეზღუდვას განუსაზღვრელი ვადით?

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია